სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 55

ქალაქი ბათუმი 01.11. 2016 წ

ერთი მხრივ **აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი უფროსის მ/შ დავით მიქელაძის სახით და მეორე მხრივ **სს „სილქნეტი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი **აჭარის სერვის ცენტრების უფროსის ნუგზარ ნაკაშიძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტ მომსახურებების (CPV64200000; 72400000) გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურების პაკეტებისა და მომსახურების მიწოდების პირობების დეტალური აღწერილობა მოცემულია ხელშეკრულების დანართებში (N1,), რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს **480 ლარს. (ოთხა ს ოთხმოცი)**

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების (როგორც ერთჯერადი, ასევე სააბონენტო) კონკრეტული ფასები და ანგარიშსწორების პირობები განისაზღვრება შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების დანართებისა. ანგარიშსწორება წარმოებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების თაობაზე მიმწოდებლის მიერ წარდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების ხარისხი

4.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს (სტანდარტებს)

4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე (სისტემატურად) თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).
6.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს უფროსის მ/შ დავით მიქელაძე.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1. მომსახურების მთლიანად ან მისი ნებისმიერი ნაწილის მიწოდებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

12.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

13. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ს/კ 245631400 იურ. მისამართი: ქ. ბათუმი გუდიაშვილის ქ. N 4 სახელმწიფო ხაზინა ტელ: უფროსის მ/შ დავით მიქელაძე ----------	სს „სილქნეტი“ ს/კ 204566978 იურ. მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვარიშვილის ქ. #95 ანგარიშის რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ანგ.#GE41BG0000000878415000 აჭარის სერვის ცენტრების უფროსი ნუგზარ ნაკაშიძე ----------

დანართი №1

01.11. 2016 წ.

„აბონენტის“ მიერ მისაღები „მომსახურებების“ ჩამონათვალი

წინამდებარე დანართით და „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, „აბონენტი“ „კომპანიისგან“ იღებს ქვემოთ მოცემულ „მომსახურებებს“.

თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე დანართით:

„მომსახურების ღირებულება“ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგს);
„მხარეთა“ შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, შესაბამისი საანგარიშსწორებო თვის ბოლო დღისათვის ოფიციალურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

პ.ანგარიში	ნომერი	მომსახურება	მისამართი	ფასი
90409400	422225899	PSTN ფიქსირებული ტელეფონი	ბათუმი. ლადო გუდიაშვილის ქ. N 4	10 ლარი
90409400	OI42280615	FOS ექსკლუზივი- 10 მბ/წმ გლობალი-10მბ/წმ ლოკალი	ბათუმი. ლადო გუდიაშვილის ქ. N 4	230 ლარი

PSTN ფიქსირებული ტელეფონი

ძირითადი ტარიფები	სხვა რეგიონები (გარდა ქუთაისისა)
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	10
1 წუთი ზარის ღირებულება:	
ადგილობრივი ზარი სილქნეტის ქსელში	ულიმიტო
საქალაქთაშორისო ზარი სილქნეტის ქსელში	ულიმიტო
ზარი სილქნეტის მობილურ ქსელში (S1)	ულიმიტო
ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში (გარდა კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06
ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში : (“ახალი ქსელები” (თბილისი და ქუთაისი);“ახტელი”;„სიჯისი“;„მეტაკომი)	0.04
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში (გარდა კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06
ზარი კავკასუს ონლაინის ფიქსირებული ქსელის ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებით	0.08
ზარი გლობალ სელის მობილურ ქსელში	0.32
ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ უსადენო ქსელში	0.06
ზარი სხვა ოპერატორების მობილურ ქსელში	0.32
ინსტალაციის ღირებულება	120
იმ შემთხვევაში , თუ აბონენტს ერთ სააბონენტო ანგარიშზე გააქტიურებული აქვს შემდეგი სამი მომსახურება: ფიქსირებული სადენიანი ქსელით სატელეფონო მომსახურება, DSL ინტერნეტ მომსახურება და DSL სილქ ტვ მომსახურება, სამივე მომსახურების დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულება	5.00

2. მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები
   - მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვის ჩათვლით.
3. მომსახურების შეზღუდვის პირობები

- □ მომსახურება ცალმხრივად იზღუდება მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, **გადახდის ვადის ბოლო** დღის მომდევნო დღიდან.
- □ ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახადი, ასევე აბონენტს ერთჯერადად დაერიცხება ჯარიმა ყოველ საანგარიშო თვეზე,
- □ ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისთანავე (დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში), აბონენტს სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარები).
- □ ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და გაასხვისოს სატელეფონო ნომერი.
- □ იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც აბონენტს ორმხრივად აქვს შეზღუდული მომსახურება, მას არ ერიცხება სააბონენტო გადასახადი და დავალიანების ჯარიმა.
- □ აბონენტს, მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%–ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ. (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ევდო)). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები (მათ შორის ყოველი ერთეული ტვ მოწყობილობა) განიხილება ცალკე მომსახურებად.

4. **ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები(წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)**
   - □ ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის გასვლის შემდეგ, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.
   - □ აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს კომპანიის სერვის–ცენტრში აბონენტის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენით.
   - □ ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
5. **მომსახურების აღდგენის პირობები**
   - □ ცალმხრივად შეზღუდვიდან ორმხრივად შეზღუდვამდე პერიოდში აბონენტს ეძლევა საშუალება აღიდგინოს სატელეფონო მომსახურება დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში.
   - □ ორმხრივად შეზღუდვიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში აბონენტს ეძლევა საშუალება აღიდგინოს სატელეფონო მომსახურება დავალიანებისა და აღდგენის ღირებულების სრულად დაფარვის შემთხვევაში.
   - □ სატელეფონო მომსახურების აღდგენის ღირებულება განისაზღვრება 20 (ოცი) ლარით.

ოპტიკური ინტერნეტი

1. **მომსახურების ღირებულების გადახდის პირობები**
   - □ სააბონენტო გადასახადის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, საანგარიშო თვის მომდევნო **თვის 25 რიცხვის ჩათვლით.**
   - □ ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის საბონენტო გადასახადთან ერთად.
2. **მომსახურების შეზღუდვის პირობები**
   - □ მომსახურება იზღუდება მომსახურების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, **გადახდის ვადის ბოლო** დღის **მომდევნო** დღიდან.
   - □ აბონენტს, მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) საანგარიშო თვის ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დაერიცხება ჯარიმა, რომლის ოდენობა განისაზღვრება ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებების სააბონენტოსა და სასაუბრო წუთების) ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილის 20%–ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების (გარდა სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებისა) რაოდენობის ერთ ლარზე ნამრავლი თანხისა. ჯარიმის დარიცხვა არ მოხდება, თუ ერთ ანგარიშზე არსებულ მომსახურებებზე დარიცხული ღირებულების ჯამური თანხის გადაუხდელი ნაწილი არ აღემატება ამავე ანგარიშზე არსებული მომსახურებების რაოდენობის 0,10 ლარზე ნამრავლ თანხას. ჯარიმის დარიცხვა მოხდება ერთ ანგარიშზე არსებული მომსახურებების ღირებულების გადახდის შესაბამისი ვადის ბოლო დღის ამოწურვის შემდეგ. (ამავე მუხლის მიზნებისთვის განიმარტება, რომ სდმა ტექნოლოგიის მომსახურებებში შედის მობილური სატელეფონო ქსელით მომსახურება, ფიქსირებული უსადენო სატელეფონო ქსელით მომსახურება და უსადენო ინტერნეტი (ევდო)). ამასთან, ერთ ანგარიშზე არსებული ერთზე მეტი ერთგვაროვანი მომსახურებები (მათ შორის ყოველი ერთეული ტვ მოწყობილობა) განიხილება ცალკე მომსახურებად.
3. **ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები (წინამდებარე დანართით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში)**
   - □ თუ აბონენტის მიერ არ მოხდება დავალიანების დაფარვა გადახდის დღის დადგომიდან (არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.
   - □ აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს კომპანიის სერვის–ცენტრში აბონენტის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენით.
   - □ ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
4. **მომსახურების აღდგენის პირობები**

GEORGIA AJARIAN A.R. DEPARTMENT OF TOURISM AND YOUTH AFFAIRS 1400

- მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

5. **მოწყობილობების დაბრუნება**

6.1. დავალიანების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე.
- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ინტერნეტ და VOIP სატელეფონო მომსახურება, ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

6.2. აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას:

- აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ „ხელშეკრულების“ შეწყვეტისთანავე.
- თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ინტერნეტ, სილქ ტვ და/ან VOIP სატელეფონო მომსახურება, და იგი ითხოვს მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტას, ამ შემთხვევაში იგი არ არის ვალდებული ზემოაღნიშნულ ვადაში დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.

~~6.3.~~ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების“ დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების“ აბონენტის მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი ექნება „ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება,

6.4. აბონენტი ასევე ვალდებულია გადაიხადოს ცხრილში მითითებული „ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება მომსახურების მიღების პერიოდში (ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის არარსებობისას) „ტექნიკური საშუალებების“ დაზიანების/განადგურების შემთხვევაში.

მოწყობილობის დასახელება	მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება ლარში
დსლ მოდემი (ერთპორტიანი, ოთხპორტიანი, wi-fi მოდემი)	25
ოპტიკური მოდემი (ერთპორტიანი, ოთხპორტიანი, wi-fi მოდემი)	125
დეკოდერი (STB)	125
Wireless access point	10
მედია კონვერტორი	180

წინამდებარე დანართი წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენის, გაუქმების პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფებისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „სილქნეტის“ ვებ გვერდზე: www.silknet.com, ან/და სს „სილქნეტის“ მომსახურების ცენტრებში, აგრეთვე სატელეფონო მომსახურების ცენტრში 2100 200

კომპანია: *აბონენტი:*

აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

სს "სილქნეტი"

უფროსის მ/შ
დავით მიქელაძე

აჭარის სერვის ცენტრების უფროსი
ნუგზარ ნაკაშიძე